ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1660145

ნომერი: AR1260090

თარიღი : 01.12.2014

გაცემის თარიღი : 25.12.2014

გაცნობის თარიღი : 25.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაყაშვილი , N 34 , (ნაკვეთი N1/38) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაკა კვირტია პ/ნ 62001035190
- სოხუმი მშვიდობის გამზ. N 44

ორგანიზაცია:

- შპს "სოლო დეველოპმენტ" კოდი: 401993893

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 23 ოქტომბერს #AR1260090 განცხადებით მომართა მაკა კვირტიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), მაყაშვილის ქ. #34–ში (ნაკვ. 1/38) არსებული საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 17 აპრილიდან 2013 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით.

აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთად მითითებულია ზაზა თარგამაძე. სამსახურში წარმოდგენილი მინდობილობით ზაზა თარგამაძე უფლებამოსილებას ანიჭებს მაკა კვირტიას იყოს მისი, როგორც მენაშენეთა ამხანაგობის „მაყაშვილი“–ს თავმჯდომარის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები. შესაბამისად ითხოვს, საცხოვრებელ ფართობად 1588.05 კვ.მ–ის, საზაფხულო ფართობად 627.3 კვ.მ–ის, ავტოსადგომის ფართობად 465.40 კვ.მ–ის, სარდაფის ფართობად 252.09 კვ.მ–ის, ხოლო, საერთო ფართობად 2959.64 კვ.მ–ის დაფიქსირებას. სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 1588.05 კვ.მ–ს, საზაფხულო ფართობი 627.3 კვ.მ–ს, ავტოსადგომის ფართობი 465.40 კვ.მ–ს, სარდაფის ფართობი 252.09 კვ.მ–ს, ხოლო, საერთო ფართობად 2959.64 კვ.მ–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს – 1588.05 კვ.მ, საზაფხულო ფართობად – 627.3 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად – 465.40 კვ.მ, სარდაფის ფართობად – 252.09 კვ.მ, საერთო ფართობად – 2959.64 კვ.მ;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 29 მარტის #595210 ბრძანებასთან ერთად;
3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.